საჯარო სამართლის
იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების
სააგენტო

ს/კ 202178927

Legal Entity of Public Law

SOCIAL SERVICE
AGENCY

KA030428852852220

საქართველო, თბილისი 0119; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

№ 04/8841 **08 / აპრილი / 2020 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის
უფროსს, პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელს, ბატონ ბექა ჯაყელს

ბატონო ბექა,

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ საქართველოს, შრომის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 11 ნოემბრის N01-342/ო ბრძანების პირველი მუხლის „ე“ პუნქტის შესაბამისად, შესათანხმებლად წარმოგიდგენთ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2020 წლის განმავლობაში განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვების კორექტირებულ გეგმას დანართის მიხედვით. ამასთანავე მოგახსენებთ, რომ გეგმის ცვლილება განპირობებულია შემდეგი გარემოებით:

სააგენტოს თბილისის სერვის ცენტრების და სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების ოფისების თანამშრომლებისათვის შესაბამისი სამუშაო პირობების შექმნისა და მათი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით საჭიროა ერთჯერადი ხელთათმანების, სამედიცინო პირბადეების, სამედიცინო სახის დამცავი ფარების და ხელის სადეზიფენქციო ხსნარების, შესყიდვა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსის, ბატონი ზაზა ჭანტურიას N04-3541 მოხსენებითი ბარათის თანახმად, საჭიროა ზემოაღნიშნულის შესყიდვა:

აღნიშნულიდან გამომდინარე, გეგმას დაემატა CPV კოდი 18143000 (დამცავი აღჭურვილობა; რიგითი ნომერი თანდართულ ცხრილში - 6) და მისი ღირებულება განისაზღვრა 600 ლარით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გეგმას დაემატა CPV კოდი 33741300 (ხელის სადეზინფექციო საშუალება; რიგითი ნომერი თანდართულ ცხრილში - 36) და მისი ღირებულება განისაზღვრა 2 460 ლარით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გეგმას დაემატა CPV კოდი 33141420 (ქირურგიული ხელთათმანი; რიგითი ნომერი თანდართულ ცხრილში - 18) და მისი ღირებულება განისაზღვრა 2 200 ლარით.

სააგენტოს ესაჭიროება დიალიზისა და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამის ჰემო და პერიტონეული დიალიზისათვის საჭირო სადიალიზე საშუალებების, მასალისა და მედიკამენტების შესყიდვა და მიწოდების კომპონენტის ფარგლებში 70 000 000 ს/ე ერითროპოეტინის გამარტივებული შეძენა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტის უფროსის, ბატონი კახაბერ ჩხარტიშვილის N04-3591 მოხსენებითი ბარათის თანახმად, საჭიროა „ერითროპოეტინის“ (მედიკამენტი) გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვა:

აღნიშნულიდან გამომდინარე, გეგმას დაემატა CPV კოდი 33600000 (ფარმაცევტული პროდუქტი; რიგითი ნომერი თანდართულ ცხრილში - 32) და მისი ღირებულება განისაზღვრა 402 000 ლარით.

დანართი: სახელმწიფო შესყიდვების გეგმა - Excel-ის ფორმატის 1 (ერთი) ფაილი.

პატივისცემით,

დირექტორის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან გოგოძე